ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

10 (9950) • 19 marti • 2012 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ია ანთაძე: „მოსახლეობას იმედი უნდა ჩავუნერგოთ, რომ ისინი არ არიან მარტო სახელმწიფოს პირისპირ“

გაზეთი „ალიონი“

გურიაში და საქართველოს სხვა რეგიონებში კონტროლის პალატასთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოქალაქეების დაბარების, დაკითხვის და ჩხრეკის ფაქტებზე გაზეთ „ალიონის“კითხვებს უპასუხა რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტმა ია ანთაძემ.

—ფაქტობრივად როგორც ჩანს, საქართველოს ბევრ ქალაქში ერთდროულად დაიწყო დაკითხვა იმ ადამიანების, რომლებსაც საერთო ჰქონდათ ოპოზიციასთან, გაზეთ „ქართული ოცნების“ დარიგებასთან, ხელმოწერების შეგროვებასთან ბიძინა ივანიშვილისათვის, მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით. ადამიანებს ეუბნებიან, რომ ეს არის კანონდარღვევა და სერიოზული შფოთი შეაქვთ არა მხოლოდ იმ ადამიანების ცნობიერებაში, რომლებსაც უშუალოდ აქვთ საქმე კონტროლის პალატის წარმომადგენლებთან, არამედ, იმ ადამიანების ცნობიერებაშიც, რომლებიც საერთოდ არ არიან არანაირად ამ საქმესთან დაკავშირებული. პრაქტიკულად ამ აჟიოტაჟის ფონზე, ნებისმიერი მოქალაქე იფიქრებს, ჯობია არ გაეკაროს ოპოზიციურ პარტიებს, არანაირი საერთო ჰქონდეს პოლიტიკურ პროცესთან, თავისი არანაირი აზრი არ გამოხატოს პოლიტიკური პროცესების შესახებ. ასე შეიძლება დაცული იყოს ამ ქვეყანაში, რადგან ნებისმიერი პოლიტიკური აქტივობა ადამიანს შეიძლება ძვირი დაუჯდეს. ამ იდეის ჩანერგვისთვის მიმდინარეობს მთელი ეს პროცესი, რომელიც რამდენიმე დღეა მიმდინარეობს სხვადასხვა ქალაქში. მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს კოლეგებს რეგიონებში, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მძიმე პირობებში არიან ამ პროცესთან დაკავშირებით, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენ მივიღოთ სრული ინფორმაცია. მათი პროფესიონალიზმის და თავდადების წყალობით, მთელმა საქართველომ გაიგო, თუ რა ტერორის ქვეშაა საქართველოს მოსახლეობის ნაწილი, იმისთვის რომ დანარჩენი ნაწილიც იყოს სერიოზულად დაშინებული. ამიტომ წინააღმდეგობა უნდა იყოს თვითორგანიზებული, უნდა იყოს მასობრივი. იმედია, გონიერი ქართული საზოგადოება მაინც მოიკრეფს ძალას, მოძებნის სწორ ნაბიჯებს ხელისუფლების ამ უცნაურ ნაბიჯებზე.

—ამ პროცესს წინ უძღოდა მოძრაობა „ეს შენ გეხება!“ ფიქრობდით პროცესების ასე სწრაფ განვითარებას?

— ხელისუფლებამ კანონში ცვლილება დეკემბერში მიიღო. რა თქმა უნდა ვფიქრობდით, ეს გავრცელდებოდა მოქალაქეებზე, ამიტომ დაიწყო დიდი კამპანია „ეს შენ გეხება!“ჩემი ფანტაზია ვერ მიყვება იმ რეალობას, რაც არის ამ პროტესტთან დაკავშირებით. მართლა ვერ წარმომედგინა, ეს ასე შეიძლება შეხებოდა თითოეულ მოქალაქეს. ეტყობა კიდევ უარესს უნდა ველოდეთ, ამიტომ უნდა ვიყოთ მზად მეტი თვითორგანიზებულობისთვის და ჩართულობისათვის.

—ქალბატონო ია, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა მას შემდეგ დაიწყო თავისი უფლებამოსილების განხორციელება, როცა ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენისადმი მხარდასაჭერი ხელწერების შეგროვების აქცია დასრულებული იყო. რა გამოდის, კანონს უკუქმედების ძალა მიანიჭეს?

—არავითარი უკუქმედების ძალა ამ კანონს არ აქვს. ეს არის მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზეწოლა. ადამიანებს ეუბნებიან, რომ გაზეთის დარიგება არის კანონის დარღვევა. როგორ შეიძლება გაზეთის დარიგება იყოს კანონის დარღვევა. მას დაკითხვაზე იბარებენ იმიტომ, რომ მეორემ ვერ გაბედოს გაზეთის გავრცელებაში ჩართვა, ან რაღაც მსგავსი პროცესი. აქ ხელისუფლების ტაქტიკა ასეთია: დაკითხავენ ოც ადამიანს, მაგრამ დანარჩენი ორი ათასი იქნება შეშინებული და აღარ ჩაერევა პოლიტიკურ პროცესში.

გუშინ თბილისში არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ მზად, რაღაც საპასუხო ზომები მოეფიქრებინათ. განცხადების გამოქვეყნება თუ საპროტესტო აქცია. მე სურვილი მქონდა გუშინვე საპროტესტო აქცია მოწყობილიყო. რა თქმა უნდა, თუ პასუხი სწრაფად იქნებოდა ადექვატური, შეიძლება კარგად იყოს მოფიქრებული, როგორი უნდა იყოს პოტესტი, იგი არ ეხება მარტო დღევანდელ ამბებს. ეს გაგრძელდება, ჩვენ ვნახავთ, რომ ერთი თვის, ორი თვის შემდეგ მეტი დაძაბული იქნება. კიდევ მეტი შიშის დათესვას ეცდება ხელისუფლება. ამიტომ ჩვენც კარგად უნდა დავგეგმოთ, მოსახლეობას იმედი ჩავუნერგოთ, რომ ისინი არ არიან მარტო სახელმწიფოს პირისპირ. (14.03)

„ეს არის ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის მკვლელობის ინსტრუმენტი“

ნინო ნიკოლაიშვილი

— ჩვენი დისკუსია ეხება კამპანიას, ეს შენ გეხება, რომელსაც მოჰყვა აქციები და საზოგადოების აქტიური გამოხმაურება — აღნიშნა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელმა გიგი მახარაძემ. დისკუსია გაიმართა დემოკრატრიული ჩართულობის ცენტრის, საიას ოზურგეთის ორგანიზაციის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, პ/გ „ეროვნული ფორუმის“ ოზურგეთის ორგანიზაციის ინიციატივით. იურისტებმა თამაზ ტრაპაიძემ, მადონა ბერიძემ და შოთა გოგიბერიძემ ახლადმიღებული კანონისა და იმ საფრთხეების შესახებ ისაუბრეს, რომელიც ამომრჩევლებს მრავალი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს და ლახავს მათ უფლებებს. გამომსვლელებმა განიხილეს შესაბამისი მუხლები და აღწერეს ის შეზღუდვები, რომლითაც, შესაძლოა ჩვეულებრივ მოქალაქეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს. პარტიასთან დაკავშირებული პირის ცნება, ამ პირთა თანამშრომლობა ბანკებთან, თავისუფალი აზრის გამოხატვა, თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებთან...

მათი თქმით, წარმოდგენილი კანონი არაკონსტიტუციურია, რომელიც ზღუდავს თავისუფალი აზრის გამოხატვის შესაძლებლობებს, საკუთრების უფლებებს, საფრთხეს უქმნის არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, ბიზნესორგანიზაციებს, ამომრჩევლებს. დარბაზის თავდაპირველი ემოცია მიმდინარე მოვლენებმა გამოიწვია, რომელიც კონტროლის პალატის მიერ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების „გასაუბრებებს“ ეხებოდა, რასაც, სწორედ ახლადმიღებულმა კანონმა გაუხსნა გზა.

თამაზ ტრაპაიძემ წარმოდგენილ ორგანიზაციათა მიერ პარლამენტში წარსადგენად ერთობლივი პეტიცია გააცნო დარბაზს, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ კანონში შესატან ცვლილებებს.

შოთა გოგიბერიძემ ახალ კანონს ჯანსაღი პოლიტიკური პოროცესის მკვლელობის ინსტრუმენტი უწოდა და დაკავშირებული და სხვა პირის მცნებაც განმარტა. ხოლო შავი და კორუფციული ფულის ადგილის გამორკვევა სწორი, სამართლიანი გამოძიების ფუნქციად დაასახელა: —„ ეს არის ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის მკვლვლელობის ინსტრუმენტი.

გვ-2

„ეს ხელისუფლება ასე დააბოტებს ადამიანთა ღირსებაზე!“

გაზეთი „ალიონი“

გურიის „თავისუფალი დემოკრატები“კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დაკითხვების სერიას აპროტესტებენ. პარტიის ლიდერმა თემურ სალუქვაძემ რეგიონის ჟურნალისტებთან განაცხადა:

„—მე მინდა საჯაროდ პასუხი გავცე კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურს:

- ვარიგებთ თუ არა გაზეთებს? დიახ ვარიგებთ და დავარიგებთ!

- მოვეხმარეთ თუ არა ადამიანებს ხელმოწერების შეგროვებაში? დიახ მოვეხმარეთ და თუ საჭირო გახდა ისევ მოვეხმარებით!

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ქვეყნის ღირებულებებს, ფასეულობებს ქმნის. ყველა ადამიანი მოვალეა აკეთოს ის, რაც დღეს ქვეყნის კეთილ მომავალს სჭირდება.

ნაციონალური მოძრაობის ქმედებები კარგად არის აპრობირებული და ცნობილი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ყოველ ზღვარს გადასულია ისტერიულ მდგომარეობაში მყოფი პრეზიდენტისა და ნაციონალური მოძრაობის ქმედებები. ერთ-ერთი ასეთი გამოვლინების ფაქტს სულ მალე ვიხილავთ გურულებიც: თუ როგორ გახსნის საკაშვილი იუსტიციის სახლს იმ ფასეულობებზე, რომელიც აღმოჩენილი იქნა მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე და რომლითაც არც კი დაინტერესებულან, რომელსაც მიწა მიაყარეს, დაუმალეს საზოგადოებას. აი, ასე დააბოტებს ეს ხელისუფლება, როგორც ჩვენს ისტორიულ ფასეულობებზე, ასევე ადამიანთა ღირსებაზე.

ვინ არიან ის ადამიანები ვინც ხელმოწერებს აგროვებს, გაზეთებს არიგებს? იბრძვის საკუთარი ქვეყნის დემოკარტიული განვითარებისათვის? ესენი არიან ჭეშმარიტად პატრიოტი მამულიშვილები და ჩვენ ვამაყობთ ამ ადამიანებით.

დაგვკითხონ, თუმცაღა აქ დასაკითხი არაფერია, რამდენს მეტს დაგვკითხავენ, მეტი მხარდამჭერი გაგვიჩნდება. კონტროლის პალატის ამ კოლექტიურ დაკითხვის ფორმას აპროტესტებს უკვე სამოქალაქო საზოგადოება. ამიტომაც კონტროლის პალატის მიერ დაბარებულ მოქალაქეთა უფლებებს იურისტთა მობილური ჯგუფები დაიცავენ.

გვ-3

7 დღის ამინდის პროგნოზი

19 მარტი, ორშაბათი — მზე +8+15

20 მარტი, სამშაბათი — წვიმა +7+16

21 მარტი, ოთხშაბათი — ღრუბლიანი მზე, წვიმა +4+12

22 მარტი, ხუთშაბათი — მზე, ღრუბელი +5+11



23 მარტი, პარასკევი — წვიმიანი თოვლი +5+6

24 მარტი, შაბათი — წვიმა 0+6

25 მარტი, კვირა — მზე, ღრუბელი +5+8

„ეს არის ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის მკვლელობის ინსტრუმენტი“

ამ კანონს არ შეიძლება ეწოდოს თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყანაში მიღებული კანონი. ჩვენ პატარა ქვეყანა ვარ და ყველა ერთმანეთთან დაკავშირებული. რა არის დაკავშირებული პირი, ან სხვა პირი. გეტყვით, სხვა პირი არის აგენტი, რომელიც ისმენს შიგნით და გააქვს გარეთ. ჩვენ არ ვართ მომხრე შავი ფულის, მაგრამ სად ტრიალებს შავი ფული, ჯერ კიდევ საკითხავია. ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლით შანსი მისცა საზოგადოებას, თანაბარ პირობებში ჩატარდეს არჩევნები. ეს კანონი ამასაც გვიკრძალავს.“ შემდეგ გამომსვლელმა 34 მუხლის 2 პრიმა მუხლზე გაამახვილა ყურადღება, რომლის თანახმად კონტროლის პალატის წარდგინების საფუძველზე შესაძლებელია ცესკომ რეგისტრაციის უფლება შეუჩეროს საარჩევნო სუბიექტს და უკვე დაწყებული კონფლიქტებიც ამის წინაპირობად მიიჩნია.

მარინა სუნგულია –„ჩვენ გაგვენდო ა(ა)იპიების რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც შეშფოთებას გამოთქვამენ ხელისუფლებისაგან მათთვის მიცემული დავალების გამო, რომ მათ ევალებათ შევიდნენ ოჯახებში (ახლობლები, მეზობლები, ნაცნობები) და გაიგონ მათი პოლიტიკური შეხედულებები. მომხრეებს დაუწერონ პლიუსი, ხოლო მოწინააღმდეგეებს მინუსი, რომლებზედაც შემდეგ ზემოქმედებას ხელისუფლება თავად მოახდენს.

ქეთევან ხიდაშელი: –ეს კანონი არის შედეგი ჩვენი პოლიტიკური უნიათობისა. როცა ტაშს ვუკრავდით უკანონო დაწერებს და ქმედებებს. რვა წლის განმავლობაში ჩვენ შევქმენით ეს ხელისუფლება. ხელისუფლება ძალიან კარგად ახერხებს საარჩევნო კამპანიის წარმართვას, ოპოზიციაც მეტად უნდა მივიდეს ხალხთან, ადამიანებს მეტი მოფერება და თანადგომა სჭირდებათ.

უარყოფითი პოზიციები დააფიქსირეს გიგა გირკელიძემ, ლელა ნაცვალაძემ, ვანო ხომერიკმა... აღნიშნეს, რომ ეს ისეთი უკანონო და დრაკონული კანონია, მასში შეტანილი ცვლილებებიც ვერ გააკეთილშობილებს მათ. თუმცა შეკრებილებმა ბოლოს ინიციატორ ორგანიზაციებს მადლობა გადაუხადეს გაწეული შრომისათვის და საზოგადოებას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდეს.

კომენტარს პოლიტიკოსები აკეთებენ

სამი დღეა გურიაში კონტროლის პალატასთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახური მოქალაქეთებთან გასაუბრებებს აწარმოებდა ლანჩხუთში, ჩოხატაურსა და შემდეგ ოზურგეთში. თუ როგორ აფასებენ ამ პროცესს, ამ თემაზე კომენტარი კომენტარი ადგილობრივ პოლიტიკოსებს ვთხოვეთ:

ზოთა გოგიბერიძე, *კოალიცია „ქართული ოცნება:* “–პროცესი, რომელიც რეგიონში მიმდინარეობს, ისევე როგორც ხელისუფლების ინიცირებული სხვა პროცესები, სამართლიანობს მოკლებულია. დაკითხვების ის კასკადი, რომელიც ოპოზიციის აქტივისტების მიმართ განახორციელა კონტროლის პალატამ ლანჩხუთში, ჩოხატაურში და ამჟამად ოზურგეთში, დაკავშირებულია ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით თავმოყრილ ხელმოწერებთან. ჩემი ინფორმაციით, ეს ხელმოწერები გროვდებოდა 2011 წლის ნოემბრის ბოლო დეკადასა და დეკემბრის პირველ დეკადაში. აქედან გამომდინარე, კანონიდან გამომდინარე, საკითხის დასმა მოქალაქეებთან ამის თაობაზე, არამართლზომიერად მიმაჩნია, რადგანაც კანონი, რითაც კონტროლის პალატას აღნიშნული უფლებამოსილებები მიენიჭა, აღნიშნული ქმედებები ჩაატაროს, მიღებულია 2011 წლის დეკემბრის ბოლოს. ამიტომ ის ქმედებები, რომლებიც განახორციელეს პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, მოქალაქეთა გაერთიანებებმა, აბსოლუტურად ლეგიტიმური გახლავთ და თუკი ხელისუფლება ისევ ცდილობს, უკუქცევითი ძალა მიანიჭოს მიღებულ კანონს, მაშინ ამის შესახებ თვითონ უნდა გააკეთონ განმარტებები და ახსნა-განმარტება მისცენ დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო უფლებადაცვით ორგანიზაციებსაც.

ტიფო მიქატაძე, *რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე:* – კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახური სამი დღეა გურიაში აწარმოებს ადამიანების გამოძახებას, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობებში მათ დაკითხვას. ლანჩხუთში და ჩოხატაურში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, დაკითხვების პირველ დღეს ოზურგეთში განსაკუთრებულ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. მონიტორინგის სამსახურის ძირითადი მიმართულებები და კომპენტენცია მოიცავს პარტიების ფინანსების ინფორმაციას; ძირითადი ინტერესი არის პარტიასა და მათ მხარდამჭერს შორის ფინანსური ურთიერთობების საკითხები. მთავარი პრიორიტეტი არის ჩვენი აქტივისტების დაშინება, კიდევ ერთხელ შიშის გარემოს ჩამოყალიბება, შიგადაშიგ გარკვეული შეთავაზებები არის, უარი თქვან ოპზიციურ პარტიებთან თანამშრომლობაზე და იმუშაონ ხელისუფლების სასარგებლოდ. მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებაში დგება ის მომენტი, ის ნიშა, როცა დაშინებების ამდაგვარი მეთოდები ადეკვატურად არ იქნება, პირიქით, ეს ის ზღვარია, როცა საზოგადოებაში თანდათან მომწიფდება პროტესტის ტესტიც. ასე, რომ ხელისუფლებას ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელსაც ახლა მიიღებს ჩვენთან და ჩვენს აქტივისტებთან გასაუბრების დროს, ეყოფა იმის უნარი და გაუჩნდება იმის ნება, რომ ასეთი სადამსჯელო ღონისძიებები აღარ გააგრძელოს. მთავარი ის არის, რომ ჩვენი აქტივისტები გულახდილად საუბრობენ პარტიასთან თანამშრომლობის შესახებ, იმ პროცესებზე, რაც რეალურად მიდის ჩვენ საზოგადოებაში.

თემურ სალუქვაძე, გურიის „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი:– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მიმდინარეობს ადამიანების დაკითხვა, ეს სამწუხარო რეალობაა. ჟურნალისტებს რატომ ეზღუდებათ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება, გაუგებარია. პროცესი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, გვაგონებს გასული საუკუნის 30-იან წლებს. ასეთი გამჭირვალე შენობებით ჩვენ შორს ვერ წავალთ. ის პროცესი რაც ხდება, კომპენტენციის ფარგლებს გარეთ არის გასული.

ლელა ნაცვალაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი:–კონტროლის პალატას მუნიციპალიტეტის და გუბერნიის შენობა აქვს ნათხოვარი. ვისგან იცავს დაცვის პოლიცია ამ შენობას გასარკვევია. საკრებულოს დეპუტატს მიზღუდავდნენ შენობაში გადაადგილების უფლებას და არ მიშვებდნენ კიბეებზე. რაც გავარკვიე ესაა, რომ გურიის ხელისუფლებას არაფერი არ ეკითხება. მე მოვითხოვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისაგან, როგორ პირობებში იკითხება ჩვენი მოქალაქეები, როგორი ზეწოლის ქვეშ არიან ისინი, რატომ გადაუკეტეს მუნიციპალიტეტის შენობა მის ამომრჩევლებს, თუმცა უშედეგოდ. ეს არის დაშინების პოლიტიკა მთელი საქართველოს მასშტაბით. (14.03)

ეს ინფორმაცია

რჩევები დაკითხვაზე / ახსნა-განმარტების მისაცემად დაბარებული პირებისთვის

1. მოქალაქეებმა კონკრეტულად არ იციან, რა სახის სამართალდარღვევის ფატზე იბარებენ ახსნა-განმარტების მისაცემად და რა უფლებები აქვთ მათ

დაკითხვაზე დაბარებულ პირს უფლება აქვს იცოდეს კონკრეტულად რა ფაქტთან დაკავშირებით არის დაბარებული ახსნა-განმარტების მისაცემად. ამ გარემოების დაზუსტების მიზნით, მას უფლება აქვს კითხვით მიმართოს იმ თანამდებობის პირს, ვინც აწარმოებს დაკითხვას. ასევე მოქალაქეს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით.

მნიშვნელოვანია ახსნა-განმარტების მსვლელობა სათანადოდ დაფიქსირდეს სხდომის ოქმში. მოითხოვეთ ნებისმიერი დასმული კითხვისა და თქვენს მიერ გაცემული პასუხების ოქმში სათანადოდ დაფიქსირება. უფლება გაქვთ დააყენოთ სხვადასხვა სახის შუამდგომლობები; მაგალითად: სხდომის ოქმის აუდიო ჩაწერის შესახებ; მოითხოვოთ საქმის მასალების, სხდომის ოქმისა და წერილობითი ახსნა-განმარტების ასლები; დაკითხვის დროს მოითხოვოთ შესვენება; დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემამდე მოითხოვოთ სავარაუდო პასუხის ადვოკატთან შეთანხმება და ა.შ.

ახსნა-განმარტებების მიცემის დროს, მოქალაქემ უნდა დააფიქსიროს ფაქტები და იგი არაა ვალდებული ამ ფაქტებს რაიმე სამართლებრივი შეფასება მისცეს. მაგალითად, ერთ-ერთ პირს დაუსვეს ასეთი შეკითხვა: „თქვენს მიერ გახორციელებული აქტივობა მოხალისეობაა თუ შემოწირულობა?" მსგავს შემთხვევაში, უმჯობესია, თუ მოქალაქის მიერ დაფიქსირდება მხოლოდ ფაქტი (მის მიერ გახორციელებული ქმედება).

თუ თქვენ დაბარებული ხართ მოწმის სახით (კონტროლის პალატის უწყებაში არ წერია თუ რა სახით იბარებენ პირებს), ყველა ზემოაღნიშნულ უფლებასთან ერთად თქვენ ასევე უფლება გაქვთ მოითხოვოთ გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

2. ახსნა-განმარტების მისაცემად დაბარებული პირის სტატუსი

აუცილებლად გაარკვიეთ კიდევ ერთხელ "დაკითხვის" მწარმოებელ პირთან თუ რა სტატუსი გაქვთ (უწყების მიხედვით, თუკი მასში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლზეა მითითება, აგრეთვე, თუ მითითებულია, რომ თქვენ დაბარებული ხართ ახსნა-განმარტების მისაცემად - გამოდის, რომ უნდა გქონდეთ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის სტატუსი); საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ახსნა-განმარტებას იძლევა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი, მოწმე კი იძლევა ჩვენებას. მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, ან ცრუ ჩვენების მიცემა დასჯადი ქმედებაა, ხოლო ადმინისტრაციულ პასიხისგებაში მიცემული პირის მიერ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმა ან არასწორი ახსნა-განმარტების მიცემა არ არის დანაშაული და არ ისჯება.

3. კონტროლის პალატის თანამშრომელთა გარდა, დაკითხვას ესწრებიან სხვა პირებიც

დაკითხვას უნდა აწარმოებდეს მხოლოდ კონტროლის პალატის უფლებამოსილი თანამშრომელი. მოქალაქეს უფლება აქვს გაარკვიოს დაკითხვის მწარმოებელი პირის ვინაობა და თანამდებობა. დაკითხვის მწარმოებელი პირი ვალდებულია წარუდგინოს მოქალაქეს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (რომ ის ნამდვილად არის კონტროლის პალატის თანამშრომელი). თუ მოქალაქის ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მას უფლება აქვს უარი განაცხადოს ახსნა-განმარტების მიცემაზე.

თუ ახსნა-განმარტების მიცემას ესწრება პირი, რომელიც არ არის კონტროლის პალატის უფლებამოსილი თანამდებობის პირი და არის რომელიმე სამართალდამცავი (პროკურატურის, პოლიციის) ან ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელი, მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ასეთმა პირმა დატოვოს ახსნა-განმარტების მიცემის ადგილი. ხოლო თუ დაკითხვას აწარმოებს პირი, რომელიც არ არის კონტროლის პალატის თანამშრომელი, მაშინ მოქალაქეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ახსნა-განმარტების მიცემაზე.

4. მოქალაქეებს არ ეძლევათ დაცვის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა

პირს უფლება აქვს ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით. როგორც გავრცელებული ინფორმაციიდან ირკვევა, ახსნა-განმარტების მისაცემად დაბარებულ პირებს ხშირად არ აძლევენ ადვოკატის დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობას. როდესაც მოქალაქე მისულია ადვოკატთან ერთად, მას უფლება აქვს ადვოკატის დასწრების გარეშე არ უპასუხოს დასმულ კითხვებს. მოქალაქეს ასევე უფლება აქვს ნებისმიერ კითხვაზე პასუხი შეათანხმოს ადვოკატთან.

5. სხდომები დახურულია, არ უშვებენ ჟურნალისტებს

კანონის თანახმად (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234-ე მუხლი), საქმის განხილვა უნდა იყოს ღია, რაც იმას ნიშნავს რომ სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ არა მხოლოდ ჟურნალისტებს, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. მოითხოვეთ სხდომაზე ჟურნალისტების დასწრება და ეს მოთხოვნა დააფიქსირეთ სხდომის ოქმში.

6. ახსნა-განმარტების პროცესში ადგილი აქვს ზეწოლასა და იძულებას

ახსნა-განმარტების პროცესში დაუშვებელია რაიმე სახის იძულება ან დაშინება. ეს პირდაპირ არის აკრძალული სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით, რომლის თანახმადაც:

მუხლი 335. განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება

1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის ანდა ექსპერტისა - დასკვნის მიცემისათვის, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

შეეცადეთ აღნიშნული ფაქტი დააფიქსიროთ ოქმზე ხელის მოწერამდე. ზოგადად, გირჩევთ, რომ სანამ ხელს მოაწერთ რაიმე დოკუმენტს, მანამდე წაიკითხოთ კარგად, საჭიროების შემთხვევაში, გააკეთეთ შენიშვნა წერილობითი ფორმით და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერეთ ხელი. თუ თქვენ არ მოგეცათ შენიშვნის გაკეთების შესაძლებლობა, უფლება გაქვთ ხელი არ მოაწეროთ რაიმე დოკუმენტს.

„ეს ხელისუფლება ასე დააბოტებს ადამიანთა ღირსებაზე!“

არაერთხელ მითქვამს, ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები" და ჩვენი პარტნიორები ვართ შეუვალნი. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ მთელი საქართველო ირაზმება ჩვენს ირგვლივ, საქართველოს კეთილი მომავლისთვის. ეს პროცესი შეუქცევადია. ჩვენ უარს ვეუბნებით ბოლშევიკურ მეთოდებს, სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს. ეს რეჟიმი ხელის შემშლელია საქართველოს დემოკარტიული განვითარებისათვის, ჩვენი ევროატლანტიკურ ოჯახში გაწევრიანებისათვის. ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ, ამ მიზანმიმართულ სადამსჯელო თუ დაშინების პოლიტიკას, ჩვენ სიმტკიცით, ქვეყნის ერთგულებით დავუპირისპირდებით და ქვეყანას გავათავისუფლებთ დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი დიქტატურისგან.

მინდა იცოდეს ყველამ, განსაკუთრებით გურიაში, კონტროლის პალატის მხრიდან ვინც აწარმოებს და ხელს უწყობს ამ არაზნეობრივ ქმედებებს, დადგება დრო და ამის გამო პასუხს აგებეთ თავისუფალი სასამართლოს წინაშე. ასევე მივმართავ გურიის მხარის ყველა რგოლის ხელძღვანელს: კარგად დაინახეთ თქვენი ხელისუფლების რეალური სახე, ჯერ კიდევ დრო არის, რომ ჩამოშორდეთ მას, რათა თქვენს განვლილ გზას გარკვეული ზენობრივი გამართლება მაინც ჰქონდეს მომავალში. ყველა ადამიანს აქვს უფლება იბრძოლოს თავისი ქვეყნის კეთილდღეობისთვის, დღეს ეს შანსი ყველასთვის არსებობს.

დარწმუნებული ვარ ამ ხელისუფლებასაც გავისტუმრებთ, ეს კანონებიც შეიცვლება, ამიტომაც ყველამ კარგად ჩაუფიქრდეს თავის ქმედებას, რადგანაც ქართული ოცნების ასრულებას ალტერნატივა არ გააჩნია! “(14.03)

ჯონ ბასმა განცხადება გააკეთა

რამდენიმე დღეა კონტროლის პალატა "ქართული ოცნების" რეგიონული წარმომადგენლებისაგან ახსნა-განმარტებებს იღებს. დაკითხვა მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს.

აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა თავის "ფეისბუქზე" გამოაქვეყნა განცხადება კონტროლის პალატის შესახებ: "შეშფოთებული ვარ კონტროლის პალატის აქტივობებთან დაკავშირებული გაურკვევლობით. სრულფასოვანი განმარტებების ნაკლებობა იმ მეთოდების შესახებ, რომლითაც კონტროლის პალატა ახორციელებს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის აღსრულებას, ვერ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას ამ უწყების, ან კონკურენტული საარჩევნო გარემოს მიმართ"- ნათქვამია განცახდებაში.

ამერიკის საელჩო ჯონ ბასის განცხადებას ადასტურებს.

„ხელისუფლების მიზანს, ამ დაკითხვებით დააშინოს და სახლებში გამოკეტონ ადამიანები, უკურეაქცია მოჰყვა“

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთში კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ექსპერტ-ანალიტიკოსების მიერ ჩატარებული „დაკითხვების ქვეშდებარე ყველა კატეგორიის ადამიანი იყო, მათ შორის ცნობილი ქირურგი ტიტე მგელაძე და ექიმოფთამოლოგი გივი ნინიძე. იყო შემთხვევა, როდესაც კონტროლის პალატის უწყება შეცდომითაც მიუვიდა მოქალაქეს. ასე სოფ. ჭანიეთის მცხოვრებმა ავთანდილ ქავთარაძის შემთხვევაში. მან ამის შესახებ უთხრა ჟურნალისტებს გასაუბრებიდან გამოსვლის შემდეგ.

ექსპერტ-ანალიტიკოსებთან შეხვედრის წინ, უწყების ადრესატს მუნიციპალიტეტის შენობის III სართულზე (სადაც გურიის რწმუნებულის ადმინისტრაციაა განთავსებული) პოლიცია მიაცილებდა. შემდეგ იწყებოდა ჩხრეკის პროცესი. მოქალაქეებს თხოვდნენ გაეხადათ ქურთუკი, ფეხსაცმელი. იყო შემთხვევა როცა „თავისუფალი დემოკრატების“ ერთერთ წევრს ფეხზე წინდაც კი გაახდევინეს.

—რატომ დამიბარეს არ ვიცი. მე მონაწილეობა არ მიმიღია ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნის ხელმოწერაში.—გვითხრა ოზურგეთელმა სილევან წიტაიშვილმა. ჩემი „დანაშაული“ რესპუბლიკური პარტიის წევრობაა...

სოფ. ხვარბეთელი გია ომიაძის თქმით, იგი 16 მარტს დილის 11 საათზე დაიბარეს, მაგრამ დღის პირველ საათამდე ალოდინეს, სანამ გაესაუბრებოდნენ. ისინი კარგად იყვნენ ინფორმირებული როგორი განწყობისაა ადამიანი დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. როგორც ჩანს ეს იყო მიზეზი მისი დაბარების.

რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერის, სოფ. ვაკიჯვრის მცხოვრები ირინა მდინარაძის თქმით, ხელისუფლება ადამიანებს მისი ნების გამოხატვის სურვილს ართმევს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული დაკითხვები, რომელსაც ნამდვილად ვერ დაართქმევდი „გასაუბრებას“.

სოფ. ნაგომრის მცხოვრებ, „თავისუფალი დემოკრატების“წერს იური წიქარიძეს გაჩხრეკისას გაახდევინეს ქურთუკი, ფეხსაცმელი და შარვლის ღილებიც კი გაახსნევინეს. იური წიქარიძე: — „გაგა ჩანქსელიანთან შესვლისთანავე ვთხოვე ეჩვენებინა მოწმობა, რაზედაც მივიღე პასუხი, რომ ჩანქსელიანს კონტროლის პალატის საბუთი სახლში ჰქონდა დარჩენილი. მეკითხებოდნენ, თუ რა ფუნქციებს ვასრულებდი პარტიაში, როგორი იყო შიგა სტრუქტურა და ა.შ. ჩანქსელიანი ცდილობდა, მიეღო მისთვის სასურველი პასუხები და რომ არ გამოსდიოდა, ისე ანერვიულდა რომ მითხრა: „დამანებე თავი და თუ გინდა ფანჯარაში გადახტიო... “

სოფ. ძიმითის მცხოვრებმა მიხეილ სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ჩხრეკისას მას გაახდევინეს ქურთუკი და ფეხსაცმლები. ეკითხებოდნენ, ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვებისას თუ გასცემდნენ თანხას და ა.შ.

მიხეილ სიხარულიძე დაკითხვის შემდეგ „თავისუფალი დემოკრატების“ოფისში პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ესაუბრა.

გაზეთ „ალიონს“ აინტერესებდა როგორი აზრი ჰქონდათ კონტროლის პალატის ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

—გაგიჟდით, აზრი რომ გამოვთქვა, იმავე დღეს გამათავისუფლებენ სამსახურიდან— გვითხრა ერთერთი სოფლის წარმატებული სკოლის დირექტორმა.

თემურ სალუქვაძე, „თავისუფალი დემოკრატების“ლიდერი გურიაში—მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ჟურნალისტს, რომლებმაც სამოქალაქო პასუხისმგებლობა გამოიჩინეს მიმდინარე პროცესები ობიექტურად გაშუქებისას. ასევე მადლობას ვუხდი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა აცოციაციას და მის წარმომგენლობას ოზურგეთში, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი რეგიონში მიმდინარე პროცესში და კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინასური მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტ-ანალიტიკოსებთან გასაუბრებაზე, პარტიების აქტივისტების, ცალკეული მოქალაქეების უფლებებს იცავდნენ.

რაც შეეხება თავად დაკითხვების პროცესს, ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი პარტიის წევრები არიან ან მხარდამჭერები, უფრო მტკიცენი არიან თავიანთი პოზიციებისა, ვიდრე დაკითხვამდე იყვნენ. რაც ხდება, ეს პოლიტიკური პროცესია და კიდევ უფრო შეკრა ჩვენი პარტიული აქტივი. ხელისუფლების მიზანს, ამ დაკითხვებით დააშინოს და სახლებში გამოკეტონ ადამიანები, უკურეაქცია მოჰყვა, კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი აქტივი.

გიგა გირკელიძე, „ქართული ოცნების“ადგილობრივი ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფის წევრი:—ის, რაც ხდება, ეს არის ხელისუფლებიდან ზღვარს გადასული მოქმედება და ძალადობა. მიზანი ადამიანებში შიშის, დაუცველობის, მორჩილების დანერგვაზეა გათვლილი. ხელისუფლება ძალაუფლების შესანარჩუნებლად ძალიან საშიშ გზას დაადგა. ასეთი მოქმედებები ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციურია. რა „დააშავეს“დაკითხვებზე დაბარებულმა ადამიანებმა? მათ საქართველოს ერთ კარგ ადამიანს, მხარი დაუჭირეს მოქალაქეობის უფლებების აღდგენის მოთხოვნაში.

ისე კონტროლის პალატას უფრო მნიშვნელოვანი საკითხი აქვს ოზურგეთში შესასწავლი. მოსახლეობას რომ წყალი ჰქონოდა, დახარჯულია ორჯერ მეტი, ვიდრე ამ საქმეს სჭირდებოდა და მოსახლეობას წყალი ნორმალურად მაინც არ მიეწოდება. თავდაპირველად 8 მილიონ ლარამდე დახარჯეს წყლის პროგრამაზე, შემდეგ 3 მილონამდე. ახლა მუნიციპალური პროგრამით კიდევ აპირებენ ფულის დახარჯვას. კონტროლის პალატამ სწორედ ეს უნდა გამოიძიოს და არა უდანაშაულო ადამიანებს აშინებდნენ.

დღეს კონტროლის პალატის ექსპერტ-გამომძიებლებს ოზურგეთში დაკითხვა არ უწარმოებიათ. (17.03)

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობა ხდება დაკეტილი სივრცე საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის“.

გაზეთი „ალიონი“

ოთხი დღეა გურიაში კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი მოქალაქეთა დაბარებებს და დაკითხვებს აწარმოებს. დასაკითხი მოქალაქეების უფლებებს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტები ოზურგეთის და ბათუმის ოფისებიდან იცავენ. თუ როგორ მიმდინარეობს დაკითხვის პროცესი, რამდენად ირღვევა მოქალაქეთა უფლებები, რატომ ეზღუდებათ ჟურნალისტებს საქმიანობა, ამ თემაზე კომენტარს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი თამაზ ტრაპაიძე აკეთებს:

—საქართველოს იურისტთა ასოციაციის იურისტები იცავს ყველა იმ ადამიანის უფლებებს, რომლებმაც ჩვენ მოგვმართა. ეს მოქალაქეები კონტროლის პალატის შესაბამისი სამსახურის მიერ არიან დაბარებულნი გასაუბრებაზე და უმეტეს შემთხვევაში ზეწოლა ხდება ამ ადამიანზე. ტანსაცმელზე არას ვამბობთ, ფეხსაცმელი ჩვენს იურისტსაც კი გაახდევინეს, რადგან მეტალოდეტექტორმა აჩვენა, რომ ფეხსაცმელის ლანჩში იყო რაღაც მეტალი. რა საჭიროა, ან რამდენად საჭიროა „დაცვის“ ასეთი მექანიზმი, გაუგებარია. ისეთი კითხვები ისმება, რომლებიც არ უნდა იყოს საქმის ვითარებაში შეხებასთან ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ ფაქტიურად სამი დღეა ვესწრებით ამ „გასაუბრების“პროცესს იმდენად, რამდენად ამის საშუალებას გვაძლევს თავად კონტროლის სამსახური.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 12 მარტის №52 ბრძანება, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტებს შეეზღუდათ მუნიციპალიტეტის შენობაში გადაადგილების საშუალება, გუშინ (14 მარტს) შუადღისას მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ მისაღებში არ იყო გამოკრული, არ იყო არავინ ინფორმირებული, მაგრამ გუშინ ფაქტიურად ეს ბრძანება ძალაში იყო. საინტერესოა, მუნიციპალიტეტის I და II სართულებზე, როცა ბევრი პირია დაინტერესებული, ვთქვათ 20, 30 ან მეტი, აქვთ სურვილი საკრებულოს საჯარო სხდომებს დაესწრონ, როგორ მოხერხდება მათი გადაადგილება პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

ეს ბრძანება არ ითვალისწინებს საშვთა სისტემას და ფაქტიურად სახელდახელოდ მიღებული აქტია. ეს აქტი დროებითია და ალოგიკური. როცა ცენტრალური ხელისუფლება ხალხს ეუბნება, ჩვენ ღია ვართ, ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლება იკეტება და მოსახლეობიდან შორს მიდის. მუნიციპალიტეტის შენობა ხდება დაკეტილი სივრცე საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის.

* * *

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №52 ბრძანების მოტივაციაზე საკრებულოს აპარატის უფროსს პაატა ბურჭულაძეს ვესაუბრეთ.

—ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მიღების, განცხადებების და საჩივრების განხილვის პროცესის სრულყოფისა და მუნიციპალიტეტის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიცა ეს ბრძანება. ამის საფუძველია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეის საკრებნულოს 2010 წლის 19 ივლისის №2 დადგენილების 117-ე მუხლი. იცით, რომ ნორვეგიელების დაფინანსებით შეიქმნა საზოგადოებრივი მისაღები, სადაც მოქალაქეების მიღება იწარმოებს და მათი გადაადგილება ადმინისტრაციული შენობის I და II სართულზე მოქალაქეთა მიღებაზე პასუხისმგებელი მოსამსახურეების მეშვეობით. იმოქმედებს საშვთა სისტემა და ეს ბრძანება არც ჟურნალისტებისათვის იქნება ბარიერი შენობაში შესასვლელად.

ლელა ნაცვალაძის პრესკონფერენცია

—პოლიტიკური ტაიმ-აუტი დასრულდა. მე არ ვარ არც ერთი პარტიის წარმომადგენელი, მაგრამ ჩემს დამოკიდებულებას გამოვხატავ მოძრაობა „ქართული ოცნების“აქტივის და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ კამპანიისა—განაცხადა პრესკონფერენციაზე ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ. დაკითხვებზე მიმავალმა ადამიანებმა თავი არ უნდა იგრძნონ მარტო. კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოქალაქეების დაკითხვისას ირღვევა ადამიანის უფლებები, იყო ფაქტები არ ჰყავდათ ადვოკატი. ხელისუფლება ცდილობს არჩევნებამდე ოპოზიციას სათითაოდ გამოაცალოს მხარდამჭერი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 9 მილიონი ბიუჯეტიდან 4 მილიონი ხელფასებზე იხარჯება.

გურიის ხელისუფლებამ უნდა დაიცვას მოსახლეობა, მათი ამომრჩევლების უფლებები, ხოლო პოლიტიკურმა პარტიებმა გვერდზე გადადონ ამბიციები და საქმე უნდა გააკეთონ, არჩევნებზე იფიქრონ.

ხელისუფლებას ღმერთის უნდა ეშინოდეს.

პლეი-აუტის პირველ ტურში უმაღლეს ლიგელთა უპირატესობა აშკარა იყო

12 მარტს პლეი-აუტის მატჩებში უმაღლესი ლიგის ბოლო 4 ადგილზე და I ლიგის ორი ჯგუფის I-II ადგილზე გასული გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს.

ოზურგეთის „მერცხალი“ „მცხეთა პარკზე“ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში შეხვდა საქართველოს ყოფილ 2-გზის ჩემპიონს „ვიტ-ჯორჯიას.“ოზურგეთლებმა პირველ ტაიმში სათანადო წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. მაგრამ 57-ე წუთზე მცხეთელმა გოგოტიშვილმა „ვიტ-ჯორჯია“დააწინაურა. მატჩის დასრულებამე 15 წუთით ადრე მსაჯმა პენალტი დანიშნა გურულების კარში და ჯანელიძემ ანგარიში ორამდე გაზარდა. 2:0 გაიმარჯვა „ვიტ-ჯორჯიამ.“

„გაგრამ“ანალოგიური ანგარიშით დაამარცხა ბათუმის „დინამო“–2:0; ბოლნისის „სიონმა“–საჩხერის „ჩიხურა“3:1.

ცხინვალის „სპარტაკი“2:0 უგებდა ლანჩხუთის „გურიას,“მაგრამ ლანჩხუთლებმა II ტაიმში შეძლეს მატჩის გადარჩენა. 2:2.

16 მარტს, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო ოზურგეთში „მერცხალის“ და საჩხერის „ჩიხურას“ მატჩი გადაიდო.

შეგახსენებთ, უმაღლეს ლიგაში I-IV ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ. დანარჩენები–I ლიგაში.

გურიის მოჭადრაკეთა ტურნირი

გურიის ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში გურიის სამივე მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების ტურნირი გაიმართა. გუნდები (3 ვაჟი და ერთი გოგონა) ორ 25-წუთიან პარტიებს თამაშობდნენ.

საბოლოოდ, 12,5 ქულით ლანჩხუთელმა მოსწავლეებმა გაიმარჯვეს. ერთი ქულით ნაკლები მოაგროვეს ოზურგეთლებმა. ჩოხატაურლები მესამე იყვნენ.

დაფების მიხედვით, გაიმარჯვეს: I დაფა-მიშიკო ქურიძე, 3,5 ქულა; II დაფა–ლიზი ტრაპაიძე, 4 ქულა (ორთავე ოზურგეთი); III დაფა–თენგიზ ხუხუნაიშვილი, 4 ქულა; IV დაფა–ნაზი ტუღუში, 4 ქულა (ორთავე ლანჩხუთი).

საქართველოს პარლამენტის წევრმა, გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა შანიძემ, ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ ანდღულაძემ, გურიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ლომაძემ, ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორმა ბიძინა გობრონიძემ გამარჯვებულებს, პრიზიორებს შესაბამისი ხარისხის დიპლომები, თასები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

ბათუმში, საერთაშორისო ტურნირზე

ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1995-96 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ აჭარის, თბილისის, რუსთავის, სენაკის, ოზურგეთის და თურქეთის ქ. რიზეს ნაკრები გუნდები.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა გიორგი ხუჭუამ და ვასილ თავბერიძემ I ადგილები დაიკავეს 54 და 76 კგ. წონით კატეგორიებში. 46 და 54 კგ. წონით კატეგორიებში II ადგილი დაიკავეს ირაკლი ლომაძემ და გიორგი გუჯაბიძემ. აკაკი ჩანჩიბაძე 58 კგ. წონით კატეგორიაში III იყო (მწვრთნელები ირაკლი და ზურაბ ზურაბიანები, დავით მელუა, გია ბაქანიძე).

38 კგ. წონით კატეგორიაში III ადგილზე გავიდა ლიხაურის საჭიდაო სკოლის აღსაზრდელი რობიკო ლომაძე (მწვრ. ალ. ბოლქვაძე).

ამ ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღეს სასპორტო სკოლის ზოგიერთმა წამყვანმა მოჭიდავემ. ისინი საქართველოს პირველობისთვის ემზადებიან.

პრობლემები გაქვთ დასუფთავებასთან დაკავშირებით? დარეკეთ:

27 44 67;

(595)30 50 58.

ოზურგეთის დასუფთავების სამსახური.

ხსოვნის ბილიკი

სადა ხარ ჩვენო მიშა ბატონო,
სად არის შენი ფართო ღიმილი,
შენი იქ წასვლა როგორ ავწონო,
რით მოვიშუშო გულის ტკივილი.
შენს შემდეგ ბევრი წავიდა ძმები,
აღარ ჩამოვთვლი, არ მინდა დათვლა,
როგორ მიფრინავს ცხოვრების წლები
ვერ წარმოიდგენ, ძნელია გათვლა.
სულ აგერ ახლა რენო წავიდა,
კაცი კაცური, კაცი ერთგული,
შენსავით დიდი მოქეიფე და
საძმოსთვის მუდამ თავდადებული.
წავიდა იგი და თან წაიღო
აურაცხელი იმედთა კონა,
რაც რამ გააჩნდა, სულ მთლად გაიღო,
და სიყვარული ჩვენ დაგვიტოვა.
ჩვენ ყველა შენთან მალე წამოვალთ,
სხვის ხელშემყურე აღარ გავხდებით,
ყველანი ერთად როცა ამოვალთ,
აბა თქვენ იცით, როგორ დაგვხვდებით.

მურმან დუნდუა.

რენო ურუშაძის ხსოვნას

არიან ადამიანები, რომელთა გარდაცვალებას, არა მარტო მისი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები გლოვობენ, არამედ ფართო საზოგადოების წრეც, რომლებმაც მის შესახებ მხოლოდ მონაყოლით იციან.

ყველა ადამიანს გააჩნია დადებითი და უარყოფითი თვისებები. რომელი თვისებაც ჭარბობს მასში, ისიც იმ კატეგორიას განეკუთვნება.

რენო ურუშაძეს უარყოფითი თვისებები თითქმის არ გააჩნდა. იგი მთელი მისი ცხოვრება მხოლოდ კეთილი საქმეებით იყო დაკავებული.

ჩვენ თაობას კარგად ახსოვს ცნობილი ოზურგეთელი ბიძინა ნაკაშიძე. გარკვეულ წრეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან და აქ რენოს მთავარი როლი ეჭირა.

ბატონი ბიძინა 25 ოქტომბერს იყო დაბადებული. იგი ყოველწლიურად, ამ დღეს ჩამოდიოდა ოზურგეთში და იხდიდა დაბადების დღეს. რენო ამ ღონისძიების შეუცვლელი თამადა გახლდათ. ეს ტრადიცია რენომ ბიძინას სიკვდილის შემდეგაც გააგრძელა და არ ყოფილა არც ერთი წელი, რომ ჩვენ მისი თაოსნობით ეს დღე არ აღვენიშნა.

როცა კიდევ ერთი ცნობილი ოზურგეთელი აკაკი ბაქრაძე გვესტუმრა, მისი მასპინძლობაც რენომ იკისრა, იგი ბუუჯესის სათავე ნაგებობაზე მოწყობილ სასტუმრო მაგიდასთან მიიწვია და ჩვენ მოწმე გავხდით იმისა, როგორი აღფრთოვანებული იყო აკაკი ბაქრაძე ბუუჯესის ხედით და დიდებული მასპინძლობით.

ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება. იგი ამავე დროს უდიდესი ქველმოქმედი იყო. ოზურგეთში ბევრია მატერიალურად შეჭირვებული პირი, ვისაც მისგან დახმარება მიუღია. ასე იცხოვრა რენო ურუშაძემ, რომლის მსგავსიც ალბათ ცოტაა.

მან შესანიშნავი ოჯახი დატოვა, რომელიც დიდებულად აგრძელებს რენოს ტრადიციებს.

ჩვენ თაობას, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობას არასდროს დავიწყდება რენო ურუშაძის სახელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

არსენ კეჭაყმაძე.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): კორნელი ცეცხლაძე, რენო ურუშაძე, არსენ კეჭაყმაძე, ზურაბ თოიძე, თენგიზ კუნჭულია, ილარიონ ჩხაიძე. 80-იანი წლების დასაწყისი.

...ლევან კიღურაძის მონატრება



ჩემო ლევანიკო, უკვე ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ტკივილითა და ცრემლით სავსე ერთი წელი. მენატრები, ძალიან მენატრები. ტელეფონზე ხშირად მირეკავდი. ახლაც ჩამესმის ყურში შენი სიტყვები:–,,ცაცა ბებო, როგორ ხარ“. ყოველთვის ასე იწყებდი საუბარს. ნეტა იმ დროს, როცა შენი ხმა მესმოდა, ეს ჩემთვის ნახვის ტოლფასი იყო.

ახლა, როცა სურათიდან შენი გაცინებული სახე მიცქერის, თვალწინ შენი ბავშვობის მოგონებები მიცოცხლდება. მახსენდება ის ბედნიერი დრო, როცა ჩვენი ოჯახის პირველი და უსაყვარლესი შვილიშვილები (შენ და შენი და) შემოქმედში, ჩვენს ეზოში დარბოდით და თამაშობდით. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. შენ გაიზარდე, დავაჟკაცდი, შესანიშნავი ახალგაზრდა გახდი. ჭკვიანი, კეთილი, განათლებული, ბრწყინვალედ ფლობდი ორ უცხო ენას (ინგლისურს და რუსულს), გყავდა მეგობრები, რომლებიც გიყვარდა და მათაც უყვარდი. ქალთა წრეში მუდამ ყურადღების ცენტრში იყავი. ყველა მონაცემი გქონდა იმისათვის, რომ ბედნიერი ყოფილიყავი, მაგრამ რატომღაც ბედმა არ გაგიმართლა.

გვიან დაოჯახდი, ხშირად იყავი საზღვარგარეთ, შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, ოჯახი ადრე რომ არ შექმენი. რაც გულს მიკლავს, ის არის, რომ ისე წახვედი ამ ქვეყნიდან, შვილიც კი არ დაგრჩენია. თითქოს უკვალოდ გაქრი, ისევე ჩუმად და მოკრძალებულად, როგორც ცხოვრებაში იყავი. მაგრამ შენი ნათესავების, ახლობლების და მეგობრების გულებში შენ დატოვე პატიოსნების, სიკეთის და კაცურ-კაცობის კვალი. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან შენ გაიზარდე პატიოსან, მშრომელ, კეთილ ოჯახში. შენი მშობლები: მამა დავით კიღურაძე–ლაითურის ჩაის მეურნეობის აგრონომი და დედა ნუნუ სიმონიშვილი–პედაგოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საზოგადოებაში მიღებული და დაფასებული ხალხი იყო, რომლებიც საუბედურეროდ, თუ საბედნიეროდ, ადრე წავიდნენ ამ ქვეყნიდან.

შენი გარდაცვალების შესახებ დღესაც არაფერი არ იცის შენმა ლამარა დეიდამ. არ მინდა მის დიდ ფიზიკურ ტკივილს, რასაც ავადმყოფობის გამო განიცდის, დიდი სულიერი ტკივილი დავუმატო. მას შენ საფრანგეთში ჰგონიხარ სამკურნალოდ წასული და ხშირად მეკითხება შენს ამბავს.

ჩემო ლევანიკო, შენ ჩემი დიდი, გაუნელებელი ტკივილი ხარ და ასე იქნება სიცოცხლის ბოლომდე.

ხშირად ვანთებ სანთელს, ვლოცულობ შენთვის და ღმერთს შევთხოვ, რომ ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

შენი ცაცა დეიდა და მისი ოჯახი.

გურამ დოლიძე თანაუგრძნობს სულიკო ბუკიას ძმის, **თენგიზის** გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ ოთარ გაგუას ოჯახს ძმის, **დათო გაგუას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**

ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru